საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

N 50 55 05/11/2018

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანებისათვის“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის წესით არსებობის ვადით გადაცემის თაობაზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.დ“ ქვეპუნქტის , 122–ე მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის # 669 დადგენილების ,, მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების,სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ 22 - ე მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტის, საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერს , არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირს „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანებას“ გადაცეს უსასყიდლო უზუფრუქტის წესით არსებობის ვადით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შემდეგი ქონება:
1.**დაბა ხარაგაული, სოლომონ მეფის ქუჩა N 90 ა**--წყალსადენის შენობა-ნეგებობები : N1-39,92 კვ.მ; N2-43,23 კვ.მ,; N3-69,58 კვ.მ ; N4-12,80 კვ.მ , არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 14465 კვ.მ. (ს/კ 36.01.31.182).

საავადმყოფოს მიმდებარედ წყალმომარაგების სისტემის ხაზობრივი ნაგებობა , ობიექტის სიგრძე 1630,35 მ (ს/კ 36.00.060).

დაბა ხარაგაულში, გურამიშვილის ქუჩაზე 507 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 36.01.32.246).

2.დაბა ხარაგაული, სოლომონ მეფის ქუჩა N46-ში მდებარე 147, 76 კვ.მ ფართი (შენობა) და 586 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 36.01.04.001.01.500).

3.დაბა ხარაგაული, სოლომონ მეფის მე-2 შესახვევი, 772 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ მდგარი 43,5 კვ.მ შენობა-ნაგებობა (ს/კ 36.01.31.189).

4. დაბა ხარაგაული, სოლომონ მეფის ქუჩა N7-ში მდებარე 42 კვ.მ ფართი (ს/კ 36.01.02.002).

მუხლი 2.განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180 -ე მუხლით დადგენილი წესით.

მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე